პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი ყაზარმა

31 1923 დღე
ივლისი
10
სამშაბათი
[illegible] მოვლენათა დღიური
1816 წ. ავსტრიის პირველი რეიხსრატის გახსნა.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი ხახაბლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 317 ყოველდღიური გაზეთი ფასი 50·000 მანეთი. № 317

მენშევიკების დეკლარაცია

მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრების კონფერენცია

პირველ რაიონში

6 ივლისს ნაძალადევის თეატრში შესდგა პირველი რაიონის მენშევიკური ორგანიზაციის ყოფილი წევრების კონფერენცია. მას დაესწრო ამ ჟამათ თბილისში მყოფი ამხ. მარტინოვი, ყოფილი ბელადი მენშევიკური პარტიისა.

პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ ამხ. ქორიძე, სიხარულიძე, გნოევოი, ქორიძე, ლუკაშინი და სხ. საპატიო თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. მარტინოვი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მენშევიკური ცეკას რეზოლიუცია. 2) ამხ. მარტინოვის მოხსენება ბოლშევიზმზე და მენშევიზმზე. 3) დეკლარაციის მიღება.

კონფერენციის მასალებიდან ჩვენ დღეს ვაქვეყნებთ მენშევიკური ცეკას ყოფილი წევრის და ყოფ. დამფუძნებელი კრების წევრის ა. ი. ფარნიევის სიტყვას და მიღებულ დეკლარაციას.

დეკლარაცია

1 რაიონის მუშა-რკინისგზელების, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრთა კონფერენცია აცხადებს მშრომელი ხალხის საყურადღებოთ შემდეგს:

უკეთებთ რა ღრმა ანალიზს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიის სამი წლის მოღვაწეობას, ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე:

1. მენშევიკურმა პარტიამ, გამოაცხადა რა თავი დიდი ოქტომბრის მტრათ, ამით ის დარჩა მთელი მუშა კლასის მტრად.

2. გაწყვიტა რა კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან, მან შეკრა კავშირი მებრძოლი პროლეტარიატის სასტიკ მტრებთან: ალექსეევთან, დენიკინთან და სხ. კონტრ-რევოლიუციონერ ძალებთან.

3. მთელი სამი წლის მუშაობა მენშევიკური პარტიისა საქართველოში გადიოდა დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმთან კავშირის და მუშა-გლეხთა მთავრობის ნიშნის ქვეშ.

4. მუშებისა და გლეხების მისწრაფება, რომ დაემყარებიათ თავიანთი მთავრობა, მთავრობა მუშათა და გლეხთა ცეცხლითა და მახვილით ისპობოდა მენშევიკური პარტიის მიერ.

5. ასობით და ათასობით საუკეთესო რევოლიუციონერები იტანჯებოდენ ციხეებში, და იქ იღუპებოდენ, ხოლო ისინი მიისწრაფებოდენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ.

6. იმის მაგიერ, რომ გაეტარებიათ წმინდა მუშური პოლიტიკა, მენშევიკური პარტიის ლიდერები ჩვენ გვირჩევდენ შეთანხმებას ბურჟუაზიასთან, გადასვლას სოციალიზმში დემოკრატიზმის გზით და სხვა.

7. ფაქტიურათ დემოკრატიული გზა სოციალიზმისკენ გამოიხატებოდა ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ბატონობაში საქართველოში, ნაციონალურ შუღლში, სახალხო მეურნეობის დანგრევაში და რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ბრძოლაში.

8. საშინელი დანაშაული მენშევიკების მხრით პროლეტარიატისა და რევოლიუციის წინააღმდეგ არ განისაზღვრა ამით. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც მენშევიკური პარტია განაგრძობდა ამ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებასთან სრულიად შეთანხმებულათ და კავშირში ბურჟუაზიულ პარტიებთან (ეროვნულ-დემოკრატებთან და მემარჯვენე ფედერალისტებთან), ბანდიტებთან და ყოფილ თავად აზნაურობასთან, რომლების იდეალია რეაქციონურ-ბურჟუაზიულ წესწყობილების დამყარება.

ყველა ამ და ათას სხვა დანაშაულობამ, რისთვისაც მენშევიკური პარტია პასუხს აგებს ისტორიის წინაშე, აგვიხილა თვალები ჩვენ, მრავალ წლობის განმავლობაში აქტიურათ მომუშავეებს მენშევიკურ პარტიაში, შეგვაგნებია ჩვენი შეცდომები და დანაშაულებანი, გვაიძულა უარვყოთ ის გზა, რომლითაც მივდიოდით ჩვენი ყოფილი ბელადების რჩევით და ჩვენი წასვლა მენშევიკური პარტიიდან არ შეიძლება აიხსნას ძალდატანებით მთავრობის მხრით. ეს არის შეგნებული გასვლა ამ პარტიიდან, რომელსაც აქვს დიდი ღვაწლი წარსულში, მაგრამ რომელიც ეხლა უკვე ჩამოშორდა პროლეტარიატის ისტორიულ გზას, დაუმწარე ტკივილებით ვტოვებთ იმ პარტიას, რომელთანაც დაკავშირებულ—შედუღებული ვიყავით მრავალწლობის ბრძოლით მუშათა საქმისთვის.

იმ მომენტში, რაც მსოფლიო ბურჟუაზია ფაშიზმის სახით იარაზმება პროლეტარიატის წინააღმდეგ, ჩვენ მუშები, ძველი რევოლიუციონერები, ბრძოლაში გამობრძმედილი, მოუწოდებთ ყველას გაერთიანებულ მუშათა ფრონტისკენ იმ პარტიის დროშების ქვეშ, რომელმაც შესძლო მუშათა კლასის შეკავშირება, რომელიც მაგრად სდგას პროლეტარიატის საიმედო პოზიციებზე და იცავს მის ინტერესებს.

ვიხსენიებთ რა წყევლა-კრულვით მენშევიკური პარტიის ტაქტიკას, რომელმაც მიგვიყვანა რევოლიუციონურ პროლეტარიატის და გლეხობის დაქსაქსვამდე, მოუწოდებთ ყველა იმ პატიოსან მებრძოლთ, რომლებიც დღემდე კიდევ დაბრმავებულნი იმყოფებიან მენშევიკურ პარტიის რიგებში, დაანებონ თავი ამ პარტიას და დადგენ მესამე ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ;

დიდ, საბედისწერო შეცდომებმა და მძიმე დანაშაულობამ, რაც ჩადენილი იქნა ჩვენ მიერ მენშევიკურ პარტიის რიგებში, ყოვლად აგვიხილოს თვალი და გაგვხადოს შეგნებულ მოწადინეთ პროლეტარიატის დიდი ბრძოლის, მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისთვის.

ამასთანავე ჩვენ ვაცხადებთ დაშლილათ **პირველ რაიონის (რკინისგზელთა)** მენშევიკურ ორგანიზაციას, ვინაიდან **ყველა მისი წევრები** გამოსულია პარტიიდან, **და წინადადებას ვაძლევთ, რომ** ამიერიდან არავინ ისარგებლოს **იმ ორგანიზაციის სახელით, რომელიც** აღარ არსებობს.

იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნას საკითხი მენშევიკურ პარტიის შემდეგში არსებობის შესახებ, წინადადებას ვიძლევით მოწვეულ იქნას ყოფილ მენშევიკების კონფერენცია თბილისისა და საქართველოს მაშტაბით, სადაც უნდა მიღებულ იქნას უკანასკნელი გადაწყვეტილებანი მენშევიკური პარტიის როლის შესახებ რევოლიუციის განვითარების სვლელობაში და მისი შემდეგში არსებობის საკითხი.

ძირს **მენშევიკური პარტია, რომლის გზა მოფენილია მძიმე** დანაშაულობით **პროლეტარიატისა და რევოლიუციის წინააღმდეგ.**

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

სამარცხვინო აღსასრული.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება მენშევიკურ პარტიის პირველ რაიონის ყოფილ წევრების კონფერენციის დეკლარაცია.

ნახევარ წლის წინად დაწყებული რღვევა მენშევიკური პარტიისა მივიდა თავის ლოღიკურ დასკვნამდე. ისტორია მეტად ულმობელი და სასტიკი დარჩა ყველა წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებისათვის, რომლებმაც გადამწყვეტ ჟამს რევოლიუციის ბრძოლისა, კონტრ-რევოლიუციასთან გადავიდენ უკანასკნელის მხარეზე, ფეხქვეშ გასთელეს მუშათა კლასის დიადი მიზნები და მიეყიდენ კაპიტალისტურ რეაქციას.

მუშათა კლასის ტიტანიურმა ბრძოლამ, მისმა არაჩვეულებრივმა ენერგიამ მაინც დასძლია აზლვავებულ მტერს, დაასამარა ძველი დახავსებული თვითმპყრობელურ ბურჟუაზიული წესწყობილება და საუკუნოდ აუგო მას წესი. რასაკვირველია პროლეტარიატის ბრძოლის ასეთი ბრწყინვალე შედეგის შემდეგ ნათელი გახდა ბედი ყველა წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიების, რომლებმაც სინამდვილეში უღალატეს მუშათა კლასს, გადიქცნენ მის მტრად და გახდნენ ერთგული მონა ბურჟუაზიისა. მათ ისტორიამ მიუსაჯა სიკვდილი.

ცხადია რეაქციასთან დასამარებით უნდა მომკვდარიყვნენ ეს პარტიებიც. და მართლადაც: ოდესღაც ძლევამოსილი ესერების პარტიისაგან დღეს მხოლოდ ისტორიული არქივიღა დარჩა.

ასეთ ბედი ეწია საქართველოს მენშევიკურ პარტიასაც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რევოლიუციის საბოლოოდ გამარჯვების შემდეგ საქართველოში ეს პარტია უნდა მომკვდარიყო და ის კიდევაც კვდება.

პირველ რაიონის დეკლარაცია საუცხოვოდ ამტკიცებს მენშევიკების ასეთ უსახელო აღსასრულს.

მენშევიკური პარტია კვდება არა გმირულად ბრძოლის ველზე, არამედ სამარცხვინოდ ლევს უკანასკნელ წუთებს თავისი არსებობისა. მას ზურგი შეაქცია და მიაფურთხა ყველა იმ მუშებმა, რომლებიც მოატყუილა მან და ჩაითრია თავის კონტრ-რევოლიუციონურ ფერხულში.

დღეს ეს გამოღვიძებული მშრომელი მასა მთელი ქვეყნის გასაგონად ამბობს:

„ყველა ამ და ათას სხვა დანაშაულობამ, რისთვისაც მენშევიკური პარტია პასუხს აგებს ისტორიის წინაშე, აგვიხილა თვალები ჩვენ, მრავალ წლობის განმავლობაში აქტიურად მომუშავეებს მენშევიკურ პარტიაში, შეგვაგნებია ჩვენი შეცდომები და დანაშაულებანი, გვაიძულა უარვყოთ ის გზა, რომლითაც მივდიოდით ჩვენი ყოფილი ბელადების რჩევით და ჩვენი წასვლა მენშევიკურ პარტიიდან არ შეიძლება აიხსნას ძალდატანებით მთავრობის მხრით.

ეს არის შეგნებული გასვლა იმ პარტიიდან, რომელიც ეხლა უკვე ჩამოშორდა პროლეტარიატის ისტორიულ გზას“.

ამის შემდეგ რაღა ეთქმის მენშევიკური პარტიის ცეკას ამ უჯარო სარდალს, რომელიც კიდევ ბაქი-ბუქობს და უძლური თავისი სიბრაზეში ემუქრება „ურჩ“ წევრებს.

ვერავითარი ძალა ველარ იხსნის კონტრ-რევოლიუციონურ მენშევიკურ პარტიის სიკვდილისაგან. პირველი იერიში მიიტანა მასზედ რკინის გზის პროლეტარიატმა, რომელიც იყო მისი მთავარი ძალა, მისი ხერხემალი. რკინის გზელებს მოყვება დანარჩენებიც. და მენშევიკური პარტიისაგან დარჩება მხოლოდ ერთი მწარე მოგონება.

დეპეშები

— ლოზანის კონფერენციაზე მიღწეულია შეთანხმება. სამშვიდობო ხელშეკრულების ხელის მოწერა მოხდება ამ დღეებში.

— საბჭოთა მთავრობა მიწვეული იქნება სრუტეების კონვენციაზე ხელის მოსაწერად.

— ინგლისში გაფიცულ ნავთსადგურის მუშების რიცხვი აღწევს 60.000 დე.

— რურის ოლქში ფრანგებმა საბოტაჟის გამო გამოაცხადეს საალყო წესები.

— ბრიტანიის დიპლომატიური წრეები ინახავენ საიდუმლოდ ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის და ბელგიის დიპლომატების თათბირის შედეგებს.

ლოზანის კონფერენცია № 2.

შეთანხმება მიღწეულია.

საერთაშორისო და ოსმალეთის დელეგაციის მიღწეული შეთანხმება გულისხმობს შემდეგს: 1) კუპონების გადახდის შესახებ ისეთ საშვალებას, რომელიც გულისხმობს, რომ კონტრაქტი ოსმალეთსა და მის კრედიტორებს შორის შეიძლება შეცვლილ იქნეს ორთავე მხარის თანხმობით, 2) ოსმალეთის დელეგაცია ღებულობს მოკავშირეთა წინადადებებს კონცესიების საკითხის შესახებ, მხოლოდ ზოგიერთ პუნქტებს გადასცემს ანგორას, 3) სტამბოლის ევაკუაცია დაიწყება ხელშეკრულების რატიფიკაციისთანავე. და დასრულდება 6 კვირის განმავლობაში.

სამხედრო გემები, იარაღი და საჭურველი, რომელიც ეკუთვნის ოსმალეთს, დაუბრუნდება მას.

საფრანგეთმა უკან წაიღო თავის მოთხოვნილებები.

საფრანგეთმა უკან წაიღო ყველა თავისი ფინანსიური მოთხოვნილებანი, რამაც საშვალება მისცა რომ მისულიყვნენ შეთანხმებამდე.

ანგორის მოთხოვნილებანი.

ანგორის მთავრობამ განაცხადა, რომ თხოულობს ლოზანის კონფერენციაზე კონცესიების საკითხის გადადებას და კუპონების საკითხის

ამხანაგებო წითელ-არმიელებო და წითელო სარდლებო!

ადევნეთ თვალყური ჩვენი გაზეთის „წითელი-არმიელი"-ს გავრცელებას. გამოიწერეთ ის.

გამოყოფას, სტამბოლის სასწრაფოდ ევაკუაციისაგან იმ შემთხვევაში თუ მოკავშირეები ამ წინადადებაზე უარს იტყვიან, ოსმალეთის დელეგაციის წინადადება ეძლევა დასტოვოს ლოზანა.

სტამბოლის ევაკუაცია.

შესდგა გაერთიანებული კრება მოკავშირეთა ექსპერტებისა სტამბოლის ევაკუაციის საკითხის განსახილველად.

საბჭოთა რუსეთში.

მილიუკოვის გასტროლი ბულგარეთში.

ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა" იუწყება ბულგარეთის მთავრობის მიერ მილიუკოვის სოფიაში მიწვევის შესახებ, რომელმაც უნდა გააერთიანოს რუსი თეთრგვარდიელები ბულგარეთში.

მოჭადრაკეთა შეჯიბრება.

8 ივლისს პეტროგრადში გაიხსნა სრულიად რუსეთის მოჭადრაკეთა შეჯიბრება, ვინც გაიმარჯვებს ამ შეჯიბრებაზე ის გაიგზავნება საერთაშორისო ტურნირზე.

უკრაინიზაცია.

ხარკოვში სახელმწიფო აპარატების უკრაინიზაცია გრძელდება. საქმის წარმოება სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებაში არის უკრაინულ ენაზე. სკოლების უკრაინიზაცია იწყება პირველ დაწყებითი სკოლებიდან და თან და თანობით გადავა შემდეგ კლასებზე.

ხოლერა.

დონის როსტოვში აღნიშნულია 4 ხოლერით ავადმყოფობის შემთხვევა და 5 საეჭვო.

რუსეთის ცნობის გარშემო.

მოხსენებები რუსეთის შესახებ.

კრებაზე, რომელიც მოწყობილი იყო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ნაციონალურ კომიტეტის მიერ, კოლეგის პროფესორი ფრანს დე-ლევი და ყოფილი წარმომადგენელი საფრანგეთის წითელი ჯვრისა მოსკოვში დელანგრეჟი გამოვიდენ მოხსენებებით რუსეთის ინტელექტუალურ ცხოვრებისა და ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობის შესახებ. ორთავე ორატორმა თავიაანთი სიტყვა დაათავეს იმით, რომ აღნიშნეს აუცილებლობა საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის განახლებისა. მაკლაკოვი, რომელიც წინანდელ კრებაზე გაცხარებით გამოვიდა ერრიოს მოხსენების ტეზისების წინაღმდეგ, ამ კრებაზე სდუმდა.

გამოფენით დაინტერესებულნი არიან.

დანიაში დაინტერესებულნი არიან მოსკოვის გამოფენით. ქარხნების კავშირმა ერთხმად დაადგინა მიიღოს მონაწილეობა გამოფენაზე. დანიაში მუშაობს განსაკუთრებული კომისია რუსეთთან ეკონომიურ და კულტურულად დასაახლოებლად.

გერმანია

კომპარტიის კანონპროექტი.

რეიხსტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა დაწვრილებით შემუშავებული კანონპროექტი, რომლის თანახმად მთავრობას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ყველა მსხვილ წარმოებაში 51 პროც. ზომამდე, ყველა ამა თუ იმ დარგის საწარმოო დაწესებებულები ძალდატანებით ერთდებიან ერთ სინდიკატში სახელმწიფოს მონაწილეობით, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს ეძლევათ უფლება საგარეო ვაჭრობის კონტროლის.

უმუშევრები.

უმუშევართა გაჭირვება თანდათანობით იზრდება. ბერლინში ჩამოვიდა უმუშევართა დელეგაციის მთელი რიგი, რეიხსტაგისათვის თავისი ეკონომიური მოთხოვნილების წარსადგენად. უმუშევართა მიერ ბრესლავში მოწყობილი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა რამდენიმე ათასი კაცი, პოლიციამ იარაღით გარეკა.

ბავარიის სეპარატიზმი.

ბავარიის სეპარატიზმი უფრო და უფრო მჟღავნდება. ბავარიის მთავრობის ცდას, რომ დაებრუნებინა რკინის გზა ბავარიის საკუთრებათ, მოყვა ბავარიის ფინანსთა მინისტრის წინადადება საკუთრად ბავარიის ფინანსთა განყოფილების შექმნის შესახებ.

გერმანია და ერთა ლიგა.

გერმანიის პრესა აღნიშნავს რეიხსკანცლერის პარტიებთან მოლაპარაკების ფაქტს, ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

სოციალ-დემოკრატები, ცენტრი და დემოკრატები მხარს უჭერენ ერთა ლიგაში შესვლას, სახალხო პარტია ჯერ კიდევ ვერ მივიდა საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

გაფიცვები ბერლინში.

გერმანიის მელითონეთა კავშირის მუშების რეფერენდუმს შედეგად მოჰყვა ის, რომ 120.000 მუშამ, წინააღმდეგ 9.000-სა მხარი დაუჭირა გაფიცვებს. საგაფიცვო კომიტეტმა დაადგინა ხელი შეუწყოს გაფიცვების თანდათანობით გავრცელებას. ბერლინში გაფიცულია 60 მსხვილი სამრეწველო, რომლებშიაც ირიცხება დაახლოებით 90.000 მუშა.

მთავრობა ჯერ არ ერევა გაფიცვებში ის აწარმოებს მოლაპარაკებას პროფკავშირთა ბელადებთან.

გაფიცვები სილეზიაში.

სილეზიის სასოფლო სამეურნეო მუშების გაფიცვები დამთავრდა მწარმოებელთა და მუშების შორის კომპრომისით. შრომის ხელფასის საკითხი მოწესრიგებულია ძველი ხელშეკრულების საფუძველზე.

იტალია.

პარმის ამბები.

პარმის ამბების გამო, მუსოლინის ბრძანების თანახმად ჯარებმა დაიკავეს მუშათა უბნები, ყველგან პოლიცია ახდენს ჩხრეკას და მასიურ დატუსაღებას:

სან-პეიროს გრანდოში უცნობმა პირებმა სროლა აუტეხეს ფაშისტებს. ამის საპასუხოდ ფაშისტებმა დაარბიეს ადგილობრივ ლიბერალების კლუბები, პროლეტარული კლუბები კი მათ მიერ ადრევე იყო განადგურებული.

პოლონეთ-რუმინეთის ურთიერთ დამოკიდებულება.

რუმინიის ოპოზიციური პრესა იტყობინება, რომ რუმინეთის მეფის ვარშავაში-ყოფნისას ორივე სახელმწიფო შეთანხმებულან რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში, მცირე ანტანტის პოლიტიკის მომხრობა პოლონეთისა, ჩეხო-სლოვაკიასთან დიდ უთანხმოების გამო,, ძალიან საეჭვოა,

— „ადევერული" სწერს, რომ პოლონეთმა მიიღო რა საფრანგეთისაგან მშვიდობიან პოლიტიკის წარმოება რუსეთის მიმართ, არაა დაინტერესებული რუსეთთან მტრულად განწობილ სახელმწიფოებს შეუერთდეს.

— ვარშავიდან დაბრუნებული რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკამ განაცხადა რუმინეთ-პოლონეთის კავშირის სამშვიდობო ხასიათზედ. მოელიან რუმინეთ-პოლონეთის კონფერენციას ორივე სახელმწიფოთა შუა მჭიდრო კავშირის შესაკვრელად,

ლომბროვის რაიონის მუშათ შორის

„რეჩი პოსპოლიტაიას" ცნობით დომბროვის რაიონში, ეჩნევა მუშათა შორის ძლიერი მღელვარება. რკინის-გზელთა შორის გაფიცვა მოსალოდნელია.

ინგლისი.

ნავთსადგურის მუშების გაფიცვა.

ლონდონი. ნავთსადგურის გაფიცულთა მუშების რიცხვმა 60,000 კ. მიაღწია. სატრანსპორტო მუშების კავშირმა წინადადება მისცა მუშებს თავის მუშაობაზედ დაბრუნების შესახებ. კავშირი ხსნის ასეთ დადგენილებას იმ გაფიცვით გამოწვეულ მავნებლობას, რომელიც მიაყენება კოლექტიურ ხელშეკრულების პრინციპს.

გაფიცვის მომხრენი აღნიშნავენ, რომ ტრანსპორტის მუშათა კავშირის დადგენილების საფუძვლად იყო ცალკე კავშირების ნაწილებში ხმის მიცემა და არა საერთო რეფერენდუმი,

კავშირის მიერ არ ცნობილი ლონდონის გაფიცვის, ცენტრალური კომიტეტმა თავის რეზოლიუციაში განაცხადა, რომ არავინ არ უნდა დაუბრუნდეს მუშაობას, სანამ ხელფასი არ იქნება აწეული. შემდეგ დღეში- კომიტეტის მდივანი აღნიშნავს, რომ ფასების ვარაუდის შემდგენელი მოხელეები, როგორც მათ თითონ განაცხადეს მათ. არაა მართებული.

ნავთსადგურის მუშათა სექციის მდივანი აღნიშნავს, რომ კონფლიქტის პასუხისმგებლობა ტრედიუნიონ გარეშე მყოფ ელემენტებს ედება.

საუბარი ცეცხლის-მფრქვეველ მთების შესახებ.

ჩვენ ვსთქვით, რომ ამოხეთქის სიძლიერით ვულკანიური ლავა ჰაერში იტყორცნება და მეტის-მეტი აჩქარებული მოძრაობის გადაცემით ის რგვალდება და დაგუნგუსალებული ცომივით ეცემა ძირს-თქო. მას დავარქვით ვულკანის ყუმბარა. მაგრამ ამოხეთქის დროს მაღლა ასროლილ ორთქლში და გაზებში იმყოფება კიდევ უფრო პატარა, მცირე მოცულობის პროდუქტები, ვიდრე ვულკანის ყუმბარაა და იმათ უწოდებენ „ლაპილებს".

ხანდისხან არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ამოხეთქილი ლავა მინისებური ნემსებივით გაგრძელდება და ესენი ქარის საშუალებით ძლიერ შორს, დიდ მანძილზე გადიტანებიან.

მაგრამ ვულკანიური ლავის უმთავრესი ნაწილი სრულიად გაითქვიფება, გაიქნება გაზების ამფეთქებელი მოქმედებით ვულკანიურ სილათ ან ფერფლად. ეს უკანასკნელი კი შესდგება მინის უმცირესი ნაწილაკებისაგან, ან და ბოლოს სხვა და სხვა მინერალების პატარა კრისტალებისაგან.

ვულკანიური ფერფლის უმთავრესი ნაწილი ამოხეთქის შემდეგ, ჰაერიდან ილექება, ჩამოდის ცეცხლის მფრქვეველი მთის გვერდებზე თეთრი თოვლისებრივი მასის მზგავსათ, ხოლო ამავე ფერფლის უფრო მსუბუქი ნაწილი, ქარის საშუალებით, ძალიან შორს გადადის და რჩება ატმოსფერის ფენებში რამოდენიმე თვის განმავლობაში.

რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს თქვენთვის, თუ რამდენათ დიდ მანძილზე გადადის აღნიშნული ფერფლი ქარის საშვალებით, მე მოგიყვანთ ერთ შემთხვევას: **1631 წ.** ვულკან ვეზუვის (იტალიაში) უდიდესი ამოხეთქის დროს, ასეთი ფერფლი ქარმა იტალიიდან კონსტანტინეპოლშიც კი გადაიტანა, ხოლო ეს მანძილი შედარებით დიდ გზას წარმოადგენს.

ის ფერფლი, რომელიც ვულკანიური მთის ფერდოებზე ილექება, ამოხეთქის დროს ამტყდარ ნიაღვრებს უერთდება და მიექანება ძირს ბინძურ ტალახიან ნაკადულებათ.'

ასეთმა ტუნტყლიანმა ნაკადულებმა, სულ მთლად სიბინძურით აავსო და მიწაში დამარხა ქრისტეს დაბადების შემდეგ 63 წელში მომხდარ ვეზუვის ამოხეთქამ ქ. გერკულანუმი, პომპეი და იუარებელი სოფლებიც თან მიაყოლა.

ბევრი არის ისეთი ვულკანები, რომლებიც თითქმის მუდმივად მოქმედებენ ათასი წლობის განმავლობაში, მაგრამ უმთავრეს შემთხვევაში მაინც, ვულკანიური მოქმედებები სწყდება პერიოდულად. ამ ხანგრძლივ პერიოდულ შესვენებას კი მოჰყვება ის, რომ ვულკანის ყელში ლავა სრულიად ცივდება და კრატერი, ხვრელიც სულ მთლად ამოივსება ხოლმე.

ასეთი ცეცხლის მფრქვეველი მთა დაიფარება მცენარეებით, ხანდახან თვით ვულკანის კრატერში გაიზრდება უზარმაზარი ხეები, თუ რა თქმა უნდა ვულკანი დედამიწის ცივ სარტყელში არ იმყოფება, სადაც დიდ ხეებს იშვიათად შეხვდებით, ხან კი ამოღრმავებულ კრატერში მოგროვდება წყალი და ამნაირად ჩნდება ტბა.

ასეთი ტბები მრავლად მოიპოვებიან იტალიაში, კუნძულ იავაზე და სხვაგან.

ძველ რომაელებს სრულიად ვერ წარმოედგინათ, რომ ვეზუვი, ეს უზარმაზარი ხეებით და ტყით დაფარული მთა ცეცხლის მფრქვეველი იქნებოდ.

თუმცა არსებობს ისეთი გადმოცემაც თითქოს ერთმაშინდელ სწავლულს, მთა ვეზუვის მთის ჯიშების გაშინჯვის შემდეგ გამოეთქვას აზრი, რომ ის ცეცხლის მფრქვეველი არისო.

და მართლაც რომაელების ამ სწავლულის აზრი სრულიად გამართლდა.

ქრისტეს დაბადების შემდეგ 63 წ. მოხდა ვულკან ვეზუვის უდიდესი ამოხეთქა. დიდი ხნით დაგუბებული ვულკანის ლავამ, ფერფლმა და სხვ. სრულიად გაანადგურა ახლო-მახლო მდებარე ქალაქები, სოფლები და მოაქცია ისინი გახურებული ნაცარტუტის, ბინძური ნიაღვრების ქვეშ.

ამის შემდეგ **1631** წ. განმეორებულ ვეზუვის დიდ ამოხეთქას წინ უძღოდა მთელი საუკუნოების უმოქმედობა და დასვენება. ის მრავალი მცენარეებით, ტყით დაიფარა და თვით ვეზუვის კრატერშიც უზარმაზარი ხეები გაზრდილიყო.

თუ ავიღებთ ეხლა ვულკან ეტნას, შევხედავთ, რომ მან ხანგრძლივი დასვენება არ იცის და უხსოვარ დროიდან ცნობილია, როგორც მომქმედი ვულკანი, მართალია არა განუწყვეტლივ, მაგრამ მცირე ოდენი დროის შესვენებით მაინც.

ეტნასა და ვეზუვს შორის ძირეული განსხვავებაა. მაგალითად იმ დროს, როცა ვეზუვის უმთავრეს კრატერისაგან ამოხეთქავს ხოლმე ლავაც, ეტნაზე ეს ასე არ ხდება. მისი უმთავრესი კრატერისაგან ამოდის ვულკანიური გაზები, ყუმბარეზი, ფერფლი და სხვა, მაგრამ ლავა კი ძალიან იშვიათად.

დაიწყებს თუ არა კრატერის ყელში ლავა ამოსვლას, ის კრატერის კედლებს ძლიერ შიგნიდან დაწოლას ახდენს, რომ მთის მიძირებშივე სკდება მიწა და ჩნდება ახალ-ახალი პარაზიტული კრატერები, საიდანაც იწყებს გადმოსვლას ცეცხლისებური ლავა.

ეტნა უხსოვარი დროიდან მოქმედი ვულკანია და თითქმის ათი წლის შემდეგ ახდენს ძლიერ ამოხეთქას, ხოლო შემდეგ კი უდგება უმოქმედობის პერიოდი.

თუ ეხლანდელ დიდ ამოხეთქას არ მივიღებთ მხედველობაში, უდიდესი გამანადგურებელი ამოხეთქა ეტნაზე 1669 წ. მოხდა, რომელმაც გასტანა 3 ნახ. თვე.

ამ ამოხეთქის დროს სრულიად ჩაინგრა ეტნის მწვერვალი და ერთ მის მიძირებში გაჩნდა უზარმაზარი ხვრელი, რომელსაც 18 კლ. ჰქონდა სიგრძე.

ამ ამოხეთქის დროს ვულკანიური ცეცხლიანი ლავის მდინარეებმა დაჰფარა მიწის ზედაპირის 50 კვადრატ. კილომეტრი.

ამ კატასტროფის დროს სრულიად განადგურდა თორმეტი ქალაქი ოცამდელი სოფლები და ნახევარი ქალაქ კატანიისა.

ჩვენს წითელ ჯარში

კლუბი და ბიბლიოთეკა

ყოფილი საინჟენერო ათასეულის კლუბი დღეს ეკუთნის საკავშირო ნაწილებს. ასეთი შტატი არ გვაქვს მაგრამ ვსარგებლობთ მახლობელ ჩვენს ძვირფას მეზობლების ოჯახის, საკავშირო ბატალიონიდან. ჩვენს და ამ ამხანაგებს შორის ძალიან ერთ სულვანი კავშირია, როგორც უფროსთა და პოლიტ ისე წითელ-არმიელებს შორის, როდესაც ვდგამთ, რაიმე წარმოდგენას ისინიც გვეხმარებიან ყოველ მხრივათ. ჩვენ ასეულში არის ორი დრამატიული წრე, ქართული და სომხური, მესამე წრე არის, რუსულათ, ყველა ეს წრეები მუშაობენ შეთანხმებულათ. ბიბლიოთეკა თუმცა ძალიან ღარიბია წიგნებით, მაგრამ მაინც დიდ დახმარებას უწევს წითელ-არმიელებს გაზეთებს ვღებულობთ სისტემატიურათ მხოლოდ საკმაო რიცხი არ არის მაგალითად არ ვღებულობთ „მუშას“ და „რაბოჩაია პრავდას“ რომელიც აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენს. კლუბში არსებობს სხვა წრეებშიც: ლიტერატურული, მუსიკალური, და სასპორტო სამხკორთა და პარტიული წრე.

სვირელი.

დროა დაიწყოს ჩვენ უფშემადგენლობასთან მეცადინეობა.

ცხენოსან ლეგიონში თითქმის ყველა დარგის მუშაობა არის დაყენებული თავის სიმაღლეზე, მხოლოდ ერთი კი ძლიერ მოიკოჭლებს. ჯერაც ვერ მოხერხდა უფშემადგენლობასთან მეცადინეობის დაწყება. უფშემად. ცხენ. ლეგიონის პოლიტიკურად ძლიერ ჩამორჩენილი არის და გვგონებათ თითქოს მაზედ არავინ არ ფიქრობსო. მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმეჯერ ქონდა მსჯელობა ბიურო კოლექტივს ამის შესახებ და აგრეთვე თვით სამკომის მიერ იყო აღძრული ეს საკითხი, დღემდის არასფერი არ არის გაკეთებული და ჩვენი უფშემადგენლობა ამ უკანასკნელ ხანამდის პოლიტსაათსაც არ ესწრებოდა და არ იცის ისიც, რაც იციან წითელმა ლაშქრელებმა და რაც გაიარეს მათ. როგორც ვიცით პოლიტ-განყოფილების მიერ იყო დანიშნული ერთი პასუხისმგებელი ამხანაგთაგანი უფშემადგენლობასთან სამაცადინოთ, მაგრამ როგორც გავიგეთ დიდი ხნის შემდეგ დროს უქონლობის გამო, მის მაგივრად დაუვალებიათ მეორესათვის, რომელიც ჯერაც არ გამოცხადებულა და არ უმეცადინია უფშემადგენლობასთან. სამწუხაროდ არც ლეგიონს ყავს ისეთი ვინმე, რომ მაცადინეობა დაიწყოს და მთელი პროგრამა გაატაროს.

დროა დაიწყოს მეცადინეობა მან ვისაც დავალებული აქვს ეს საქმე. ამისათვის პოლიტგანყოფილებამაც მიაქციოს სათანადო ყურადღება თორემ ჩვენი უფშემადგენლობა წარსდგება გამოცდებზე მოუმზადებელი.

ქარხნისშვილი.

ჩვენი მუშაობა ბანაკში.

მაისის პირველ რიცხვებში ცალკე მესანგრეთა ასეული გავიდა საბანაკოდ. აქ არის ჩვენი მეზობელ რესპუბლიკების მესანგრე ნაწილებიც, ჩვენდა მოსაზღვრეთ განაწილებული ბანაკი არის მოწყობილი მდინარე მტკვრის პირათ, და ვართ მჭიდროთ დაკავშირებული ერთი მეორესთან, როგორც მეცადინეობის მხრით აგრეთვე კულტურულ განმანათლებელ და პარტიულ მუშაობაშიაც. ეწყობა მრავალი შეერთებული კრებები, წარმოდგენები, საღამოები, ლექციები, პარტიული წრეები და სხვა მრავალი, მაგრამ აქ ვინაიდგან საერთაშორისო ენას რუსული წარმოადგენს და ადგილობრივ მცხოვრებთ ნაკლებათ გაეგებათ რუსული ენა, ამისათვის ჩვენს ქართულ ნაწილს, როგორც ეს შეადგენდა მის ნათელ მოვალეობას, წილათ ერგო გასძღოლოდა წინ ახალ დაბის მუშებს და გლეხებს, და ჩვენც მყისვე შეუდექით ამ მოვალეობის ასრულებას, იქნა გაგზავნილი ჩვენი წარმომადგენელი ადგილობრივ ახალ-დაბის მუშების და გლეხების ორგანიზაციაში, როგორც ხელმძღვანელათ და ამავე დროს მტკიცე კავშირის გასამბელათ. სადაც პირველათ 1-ლ ივნისს მოეწყო შეერთებული ჩვენი ასეულის და ადგილობრივ მცხოვრებთა საზეიმო კრება. ჩვენი წითელი ლაშქრელების მიერ იქნა გაკეთებული მოხსენებები 1) თუ რა კავშირი აქვს სამხედრო ორგანიზაცებს სამოქალაქო ორგანიზაცებთან, 2) ნაციონალური კითხვა და მეთორმეტე ყრილობის დადგენილება 3) საერთაშორისო მდგომარეობა. აღტაცებით შეეგება ხალხი ჩვენს მოხსენებებს და მიესალმენ, სადაც იყვნენ მრავალი, მუშები, გლეხები და ქალები, იქნა გამოტანილი ხალხის მიერ სათანადო რეზოლიუციები. შემდეგი კრებები იმართებიან სულ, შეერთებული ადგილობრივ მცხოვრებთან, სადაც კეთდება ჩვენი ამხანაგების მიერ მომავალი მოხსენებები თანამედროვე საკითხებზე.

ჩვენ სამხედრო ნაწილს გვაქვს დაარსებული პარტიული წრეები, სადაც შედიან უმრავლესობა ადგილობრივ მცხოვრებთა. იმართება ჩვენი დრამატიული წრის ადგილობრივ დრამატიულ წრესთან შეერთებული უფასო წარმოდგენები ჩვენი ასეულის უფ-შემადგენელთა წევრის ამხ. ბაგრატ ლითანიშვილის მეთაურობით. ასეთია ჩვენი მუშაობა ბანაკათ ივნისის თვეში, და სრული იმედი გვაქვს მომავალ თვეში უფრო განვამტკიცებთ მას.

სამხკორი გ. ხომერიკი.

საერთო კრება ქართულ არტილერიაში

„საერთო კრებაზე“ ისმის წითელ არმიელთა რიგებში. გაისმა ზარების წკარუნი, ბუკის ხმა.—მორიგეების ძახილი. საერთო კრებისთვის ამხ. წ. არმიელები ხაზზე. ყველანი სიჩქაროთ მიისწრაფიან. ყველას აინტერესებს ეს კრება, სადაც უნდა გაირჩეს მეტად ერიოზული საკითხები.

„ამხანაგებო მოეწყვეთ.“ ისმის ძახილი. სწორდი! სმენაა!.. მარჯვნისაკენ!.. ნაბიჯით იარ! და ყველანი მწკრივ-მწკრივათ მიდიან საერთო კრების ადგილას, დივიზიონის კლუბში.

კრება იმართება ბუნების კალთაზე ცის ქვეშ!.. ირგვლივ მწვანე ბალახი და მინდვრები. კრებას ხსნის ამხ. მაისურაძე არტილერიის სამხკომი. იმასვე ირჩევენ თავმჯდომარეთ. კითხულობს დღის წესრიგს. 1) საერთაშორისო მდგომარეობა 2) სარედაქციო კოლეგიის არჩევა (კედლის გაზ)

3. პ. გ. სამხკორის არჩევა არტ. მასშ.

4. მიმდინარე კითხვები. მოხსენებას აკეთებს ამხ. ქკუსელი თანამომხსენებლად ყაჭეიშვილი. ისმის „იიჰ ვერანა ვინ ყოფილა ეჰ... მოიცა ერთი გაბედოს დაჰ ჩვენ იმას ვ-ჩვენებთ... „გაბედოს კი არა ის არ გინდა... ამობს მეორე. წ.-არმიელთა სახეზე მოსჩანს მრისხანე გამომეტყველება. ყველას ეტყობათ სურვილი შურის ძიებისა. ისმის გუგუნი საერთო აღშფოთებაა... ამხ. გ. ბაახიას შემოაქვს რეზოლიუცია, რომლის წაკითხვას მოუსვენარი მოთმინებით ელის კრება და კიდევ ისმის ხმები: გთხოვთ „წაიკითხოს, წაიკითხოს“

ამხ. ბაახია კითხულობს. უგდებენ ყურს გულმოდგინეთ. რეზოლიუციის წაიკითხავს ის ისმის ტაშის გრიალი, რადგანაც ის სავსე იყო ზიზღით და მტრული განწყობილებით ევროპის ბურჟუების მიმართ. წ. არმიელები ფიცს სდებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ და ნება არ მისცენ მტერს შინაურ მშვიდობიან ცხოვრებაში ტლანქი ხელების ჩარევისა. რეზოლიუციამ ხალხი დააშოშმინა. გაარჩიეს დანარჩენი კითხვები.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის ხმების ქვეშ, რის შემდეგ კრება მწკრივად დაიშალა.

სპარტაკელი.

ახალი ამბები

პოლიტხელთა კურსები.

15 ივლისს ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილება ხსნის ორთვიან პოლიტხელთა კურსებს. კურსების მიზანია მოამზადოს კადრი პოლიტხელებისა, რომლებიც დაიგზავნებიან ნაწილებში. კურსებზე მსმენელები სულ იქნება 50 კაცი. ამათ რიცხვში 30 ახალ გაზრდათა კომკავშირის ორგანიზაციებიდან და 20 ჯარის ნაწილებიდან.

ჯარის ნაწილებიდან კომპარტიის წევრთა გარდა შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე ახ. კომკავშირის წევრებიც. მსმენელები მიიღებენ ისეთ კმაყოფას, როგორსაც იღებენ პოლიტხელთა თანაშემწეები.

ქართ. დივიზიის რევტრიბუნალში.

ქართულ დივიზიასთან არსებულ სამხედრო რევტრიბუნალის მიერ იქნება გარჩეული საჯარო სხდომაზე ტრიბუნალის დარბაზში შემდეგი საქმეები:

12 ივლისს.

1. თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის კომენდანტის ვასილ ალექსანდრეს ძე კობახიძის, რომელსაც ბრალი ედება სახაზინო ნივთების მითვისება გაფლანგვაში.

13 ივლისს.

1. სამოსწავლო ათასეულის წით. არმ. ნოე კაციტაძის, რომელსაც ბრალი ედება გუშაგობის დროს დინამიტების ძოპარვაში.

16 ივლისს.

1. ქართულ ცხენოსან ლეგიონის ფურაჟირის ილია მჭედლიშვილის და მთავარი სასურსათო საწყობის მუშების: ალექსი ტალიაშვილის, ილო ოთარიკაშვილის, კარაპეტას ხარაზოვის, შაქრო მატინოვის და ამბარცუმ კაზარიევის, რომლებსაც ბრალი ედებათ სახაზინო ქონების გაფლანგვაში.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გადადება.

საჰაერო ფლოტის კვირა, რომელიც უნდა გამართულიყო 15—22 ივლისამდე, გადაიდო და გაიმართება 22—28 ივლისამდე.

საჰერო მიმოსვლა ტფილისსა და ბათომს.

გერმანულმა ფირმამ „იუნკერსმა“ ამ ორი კვირის წინად მოაწყო საჰაერო მიმოსვლა ბათომსა და ტფილის შორის. „იუნკერსის“ თხოვნით კვირაში ორჯერ ჰაეროპლანის გაფრენის ნახევარი საათით წინ, საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია აწვდის ცნობებს მისი მარშრუტის ხაზზე ამინდის მდგომარეობის შესახებ.

ზაქარია ჭიჭინაძის და სეიფოლა იოსელიანის მოხსენება ჭიათურაში.

ამ დღეებში ჭიათურაში მიემგზავრებიან სპარსეთის ქართველების წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანი და ზ ჭიჭინაძე, რომელნიც გააკეთებენ ჭიათურის თეატრში მოხსენებებს: ზ. ჭიჭინაძე—„ქართველთა სპარსეთში გადასახლების მიზეზები შაჰაბაზის მიერ, ს. იოსელიანი—„ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრება მდგომარეობა“.

საერთაშორისო კოოპერაციის დღე.

7 ივლისს საერთაშორისო კოოპერაციის დღე ტფილისში ჩატარდა ღირს შესანიშნავად. მთელი ქალაქი იყო გაყოფილი 5 რაიონად, სადაც გაიმართა მიტინგები და მოხსენებები კოოპერაციის შესახებ. მიტინგებზე და მოხსენებებზე ყველგან მრავლად დაესწრნენ მუშები და წითელ არმიელები. მუშების და წითელი არმიელების დელეგაციებმა დაათვალიერეს კოოპერატიული დაწესებულებები.

ქართული დივიზიის მფრინავი რაზმი გამოვიდა სადემონსტრაციოდ, რომელიც ჰაერიდან ჰყრიდა ფურცლებს. ქუჩებში გაკრული იყო პლაკატები დღესასწაულის შესაფერი ლოზუნგებით.

საგუშაგოზე.

(ესკიზი.)

წყნარი ღამეა. ცაზე ყომრალი ღრუბლის ქულა მთვარის მკრთალ შუქს პირბადედ ეფარება.

სძინავს სამხედრო ბანაკს, რომელსაც თავის სალბუნით ცელქი ნიავი თუ აულიტინებს, და შეატოკებს კარვებს. რაღაცას ჩურჩულებენ ფოთლები ნიავით სილაგაწნული... მინდვრის მწერები უჭუკჭუკებენ რაღაცას...

შორით მოისმის მეცხვარეების ძაღლების ყეფა, რომელნიც მიაცილებენ თრიალეთის მთებისკენ ფარას. მოისმის მამლების ყივილი.. ხანდისხან ჭოტი გაჰკივის მახლობელ ტყეში.

საამური სუნი ტრიალებს ყვავილებისა და მოთიბულ თივის. ჩაფიქრებულან მთები და ყურს უგდებენ ბუნების საიდუმლო ჩურჩულს, რომლითაც წყარო წისქვილის სარეკელასებ სცემს გაგიჟებულ ვარდნით და სიცოცხლის ტრფიალს სთავაზობს გარემოს.

აქა-იქ აყუდებულან ლანდები ძნის და ბულულების...

ახალგაზრდა გუშაგი ნელის ნაბიჯით მიდი-მოდის, თოფით მხარზე, კარვების თავში, გზისპირას. მისი ელვის თვალები ცეცხლით სერავენ მიდამოს. იგი იცავს ამხანაგებს, რათა არავინ დაუბრთხოს ძილი.

აგერ ცისკრის ვარსკვლავმაც მოუმატა ციმციმს!.. შორს, შარაგზაზე გაისმა ურმის ჭრიალი და მეურმის უკვდავი სიმღერა:

„აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო;
ჯერ დედას გადავეხვევი
მერე შვილსა და ცოლსაო!“

ამ სიმღერაში იყო რაღაც არაჩვეულებრივი, ნეტარი და სალბუნი სოფლის ლაღი შვილისა; იგი სიმღერა გიტაცებდათ სადღაც იდუმალ ფრთებით სიცოცხლის უსაზღვროებისაკენ და თავის ჩალმას გაფარედა თავდავიწყების აღმოუცნობლობა..

და გუშაგსაც გულში ნისკარტი ჰკრა ამ ზღაპრულ სიამემ; თოფი ჩამოიღო და დაეყრდნო ზედ,—სადღაც შორს გაიტაცეს მოგონებებმა.

თვალწინ წარმოუდგა თავისი სოფელი, როდესაც ისიც ასევე, მამლიყიულისას შებამდა ნიკორას და ღვინიას ურემში, ძნის მოსტანად, და ესევე დამღეროდა ურმულს.

„გასწიე ხარო, გასწიე,
ჭირი-მე შენი ქედისა;
შენც გაიხარე ნიკორავ
მეც თანახმა ვარ ბედისა!..“

იგი წუთიერად გაიტაცა თავის სოფელმა; მოაგონდა სიყრმით შეჩვეული არე-მარე და ყველა ნაცნობები, მშობლები, ამხანაგები და ის... სულის მესაიდუმლე, თინა; მასთან გატარებული ღამეები კალოზე, კევრზე მსხდომნი, პურის ხვავთან ..

მოაგონდა ერთი მთვარიანი ღამე, როდესაც ჩვეულებრივ ალერსში იყვნენ გართულნი და თინას დედამ მოუსწრო და იყვირა; თინა-კი წინ გაიგდო შინისაკენ წყევლა-ქოქვით ..

მაგრამ წითელ ჯარში წამოსვლის წინა ღამეს კი, როდესაც ჩუმად ეთხოვებოდა თავის სატრფოს—მიეპარა თინას დედა და რა შეამჩნიეს აპირობდნენ გაქცევას, მაგრამ შეაჩერა:

— ნუ გამირბიხართ შვილებო, არაფერს გერჩით, გიყვარდეთ ერთმანეთი—და გადაეხვია ორივეს გადაჰკოცნა და უთხრა: აბა არსენ, რა წამს გაათავებ სამსახურს და დაბრუნდები შემოდგომაზე მაშინვე დაგაქორწინებთ. ეხლა კი შვილო იმსახურე პირნათლად და არ შემარცხვინო, ხვალ დედაშენსაც ვეტყვი, თანახმა ვარ, ვიცი, რომ შეყვარებულებს ვერაფერი დააშორებს—აცრემლდა და მოშორდა. ის კი გადაეხვია თინას...

სდგას და სახე ულიმის... მისდაუნებურ იწყებს ღიღინს:

„ჩემო ლამაზო სოფელო
წინ მინდორო—უკან ტყეო;
ქალებისა სათამაშო
ვაჟებისა სამოთხეო!.“

ამ დროს ასტეხეს ძაღლებმა ღმუილი და მისკენ მოჰქროდა ორი ელვარე თვალი...

სწრაფად თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრაო შეინძრა და თოფი მოიმარჯვა, მაგრამ ორმა თვალმა ღელისკენ ჩაირბინა.

სტყუოდ: მგელი იყო.

ასტყდა ღამის მეხრეების ყიჟინა.

ცივმა ოფლმა გდაჰკრა და სწრაფად სადარაჯოს შემოუარა ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მაინც თავს უსაყვედურა ასეთი თავდავიწყება.

— ვაი მე თუ რამე მოსვლოდა ჩემს საგუშაგოს! მაშინ ხომ თავს ველარ გამოვყოფდი ჩვენს ჯარში!..

განთიადი მოახლოვდა. ცოტა ხანს სიბნელე ჩამოწვა... ავრორამ თავისი ვარდის-ფერი თითებით შავი მანდილი ახადა ქვეყანას. გაისმა ბუკი. ახმაურდა ბანაკი... ამომავალ მზის მწველ სხივებზე აელვარდენ წითელი ხიშტები, გაისმა მწყობრი სიმღერა, აგუგუნდა, უპით არე მარე.

უკვე შეცვლილი გუშაგი ნასიამოვნები და დაფიქრებული ბრუნდებოდა კარავში.

ხანი.

რაზედ ვწერენ.

რად უნდა არსებობდეს ასეთი უპირატესობა.

ამ მოკლე გასულ ხანებში საავიაციო დივიზიონმა მიიღო ხაზგაზულო ტილოს ქსოვილები, რომლებიც ცალკე ორ ნაჭრათ მიიღეს; ცალი ერთი ნაჭერი უფრო კარგი ხარისხის იყო, და მეორე კი უფრო დაბალის. ეს ქსოვილები უნდა დარიგებულიყო ნაწილის ყველა უფროსთა შემადგენლობაზე. ამისთვის დანიშნეს კომისია, რომელმაც მოაწყო ლატარია, და გაანაწილა მანუფაქტურა. ამისათვის არავის გული არ შესტკიოდა, ვინაიდან ლატარიით ერგოთ ზოგი კარგი და ზოგი ნაკლები. მაგრამ ბოლო დროს, ჩვენი ბედი სულ სხვაფერ შეიცვალა და დივიზიონის უფროსის ბრძანებით ეს კარგი ტილო დაურიგეს მხოლოთ მფრინავთა შემადგენლობას და რომელიც დაბალი ხარ. იყო ის [illegible] გადასცეს დიდათ გასაკვირალია ყველა ასეთი მოქმედებანი. მფრინავთა შემადგენლობამ საზამთრო ტანისამოსიც კარგი მიიღო და ჩვენ ზოგიერთებს არც საზამთრო მოგვეცა, და საზაფხულოც ეგრე ნარჩევალიც მოგვცეს ისიც გასაკვირალია, რომ თუ კომისია დანიშნეს და ლატარია მოაწყვეს, შემდეგ რათ ჩამალეს! ჩვენ ვამბობთ: ყოვლად დაუშვებელია ასეთი უპირატესობანი წ. არმიის რიგებში. საჭიროა ასეთი შემთხვევები არასოდეს არ განმეორდეს და რაც მოგვივიდეს ყველამ გავინაწილოთ სამართლიანად.

სამხკორი: **ხ. გიგია.**

საუბარი ჰიგიენაზე და მის მოთხოვნილებებზე.

ჰიგიენა არის ისეთი მეცნიერება, რომელიც იკვლევს სხვა და სხვა-ავადმყოფობათა მიზეზებს და ცდილობს თავშივე ამ მიზეზთა მოსპობას, ვინაიდან ავადმყოფობის განკურნება უფრო ძნელია, ვიდრე მის წარმომშობ მიზეზთა წინააღმდეგ ბრძოლა... ხშირად სულ უბრალო მიზეზის გამო კაცი ავად ხდება, რომლის თავშივე მოსპობა მას შეეძლო და თავისი შეუგნებლობით ან დაუდევრობით კი გვერდი აუხვია... ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, მეტადრე სოფლებში ბევრი ისეთი მოქალაქეა, რომლებიც აშკარად უყურებენ შესაძლო გადამდებ სნეულებათა გამომწვევ მიზეზებს, მაგრამ რადგანაც თვითონ იმდენად ჯანსაღად გრძნობენ თავს, რომ იმედი აქვთ გადაიტანონ ყოველივე ეს სიბინძურე, ჭარაფრათ ეკითხებათ თუ მაინც და მაინც მეზობელი გაუხდათ ავად და ჩვეულებრივ განაგრძობენ ცხოვრებას, ვითომც აქ არაფერიაო...

ასეთი მეუსაბამო დაუდევრობა ველურობას უდრის...

— კაცის ჯანმრთელობისათვის რა საკვირველია საკმაო ჰამა-სმის გარდა საჭირო სისუფთავის დაცვა ყველგან და ყოველთვის...

პირველ შემთხვევაში ყოველგვარ სიბინძურისაგან დაცული უნდა იყოს ჰაერი—ჰაერში იმყოფება ორნაირი მტვერი—მშრალი და ნოტიო. პირველი უმეტეს შემთხვევაში შესდგება ქვიშისგან, თიხისგან, ქვის წვრილი ნამტვრევებისაგან, საქონლის გახმარ განავალისაგან. ამის გარდა ამნებში მტვერს ეოვევა ტანისაცმელის ბეწვები და სხვა. მეორე შესდგება წყლისგან, დორბლისგან, ნახველისაგან, წვინტლისაგან და სხვა.

ამიტომ სასტიკად უნდა ვერიდოთ მეტადრე საცხოვრებელ ბინებში ნაწველის ამოღებას, გადაფურთხვას და ცხვირის მოხოცვას...

აი ამ ორნაირი მტვერით სავსე ჰაერის სუნთქვის მავნებლობა, გარდა სხვა გადამდებ სნეულებათა გავრცელებისა, გამოიხატება სასუნთქავ ორგანოების თვალთა ლორწოვან გარსების გაღიზიანებაში... ამის გარდა დახურულ შენობებში და მეტადრე ჩვენს საკუთარ ბინებში უნდა ვეცადოთ, რომ ცუდსურნელოვან გაზებს ადგილი არა ჰქონდეს... ცუდსურნელოვანი გაზები იწვევენ აზროვნების და კუნთების მოდუნებას, თავის ტკივილს და სხვა.

განა შესაძლებელია, რომ გაფუჭებულმა ჰაერმა დიდი ვნება მოუტანოს ჩვენს ორგანიზმს? ამ კითხვაზე თვით ჰიგიენა გვიპასუხებს შემდეგს: მაგალ. ისტორია გადმოგვცემს რომ აუსტერლიცის ბრძოლის შემდეგ 300 ავსტრიელი ტყვე, რომელნიც დაკეტილ პატარა და დახშულ ოთახში იყვნენ, ამათგან დაიხოცა 260-ი კაცი და დაასკვნეს, რომ ამ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი შესაძლებელია ჰაერის ქიმიური შემადგენლობის შეცვლა-კი არ იყოს არამედ ოთახის ჰაერის წყლის ორთქლით (ე. ი. ნოტიო ჰაერით) გაჯღენთა, რამაც სიცხის დაკვრა გამოიწვია. მაშასადამე ვიწრო შენობებში ბევრის თავმოყრა მავნებელია.

ამით ვათავებ ჩემს საუბარს ზოგი კი შემდეგ...

ს—ოსო.

მეცნიერება და ტეხნიკა

(გაგრძელება.)

სილის საათები.

სილის საათები, რომლის შესახებ ალბად ყველას გაუგონია, მეტად გავრცელებული იყო ძველ ხალხებს შორის და აგრეთვე სარგებლობდენ მით საშვალო საუკუნოებში. ასეთი საათები ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში იხმარებოდა გემებზე.

ამის შემდეგ თანდათან ხმარებაში შემოდის საათები კბილებიანი ბორბლით და სიმძიმით. სიმძიმე, რომელიც ჩამოკიდებულია ბაწარზე და დახვეულია კბილებიანი ბორბლის ღერძზე, ატრიალებს ღერძს, ეს მოძრაობა გადაეცემა მეორე ღერძს, რომელსაც აქვს უფრო პატარა კბილებიანი ბორბალი და ამის გამო ღერძი ტრიალებს აჩქარებულათ; ასეთი გადაცემა იყო რამოდენიმე, უკანასკნელი ბორბალი მასზედ მოთავსებული ისრით აჩვენებდა **დროს.** იმისათვის, რომ საათის მოძრაობა ყოფილიყო თანასწორი ზომიერი და შეგვიანებულიყო მოძრაობა, ბორბლებს აბმარდენ პატარა ფრთებს და შემდეგ კი უკეთესი შედეგის მისაღებათ აბმარდენ **„ბილიანცს".**

საათის მოძრაობას რეგულიარობას უწევდა ამ „ბილიანცის" სიმძიმე. თუმცაღა იყო შემთხვევა, როდესაც სიმძიმისათვის ხმარობდენ **სხ. დასხ.** რაოდენობით აგურებს, რომელთა საშვალებით წესრიგში სდგებოდა მოძრაობა.

ცხადია, რომ ასეთი საათები არ იქნებოდენ საკმარისად **ზუსტი.**

ბამბისაგან დამზადებული ავტომობილები და ვაგონები.

ამერიკაში ხორდის ფაბრიკის მიერ ავტომობილების და რკინის გზის ვაგონების დამზადებისათვის შემოიღეს ხმარებაში დაპრესილი ბამბა. ეს ახალი სააღმშენებლო მასალა, რომელსაც უწოდებენ „კოპონიდს" მეტად გამძლე, მაგარი და მსუბუქია.

ბალახის კონსერვები.

ამ უკანასკნელ ხანებში, გერმანიაში მოახდინეს ცდები სხვა და სხვა ბალახებისაგან კონსერვების დამზადებისათვის, რათა დიდი ხნის განმავლობაში ბალახი ცოცხლად იქნეს შენახული.

რამოდენიმე დიდი მოცულობის ცისტერნები, რომლებიც იტევენ რამოდენიმე ტონას (ტონა 61 ფუთია) ავსეს თავამდე ბალახით და მჭიდროდ დაუკავშირეს თავი. თითეულ ცისტერნში მოთავსებულია ელექტრონები, რომლებშიდაც გადის ელექტრონის ჩქერი.

თავდახურულ ცისტერნში ტემპერატურის გაძლიერებით და აგრეთვე ელექტრონული ენერგიის ბალახებში მოთავსებული სხვა და სხვა სოკოებზე და მიკრობებზე გამანადგურებელი მოქმედების შემდეგ შედეგათ მიიღეს ისეთი ბალახი, რომელიც რამოდენიმე თვის განმავლობაში ინახება თავის სახით და სრულიად არ კარგავს თვის სინოყივრეს.

მეტრიული სისტემის ზომა.

6. მაგარი, სითხე და ჰაერგვარი სხეულები და სითბო-სიცივის გავლენა მათზე.

გავეცანით რა სხეულების სიგრძის, სიგანის და სიღრმის გაზომვას, გავარჩიოთ სხეულის სიმძიმის, წონის გაზომვა, თანახმად მეტრიული სისტემის ზომისა.

მხოლოდ, სანამ ამ კითხვის განხილვას შევუდგებით, გავარკვიოთ ცოტად თუ ბევრად ის, რაც ჩვენთვის საჭირო იქნება, რომ გავიგოთ რაზედ არის დაფუძნებული მეტრიული სისტემის ზომის წონა.

დედამიწაზედ მრავლადაა მოდებული სხვა და სხვა საგნები, რომელთაც ჩვენ ვეცნობით ჩვენი გრძნობათა საშუალებით: თვალისმხედველობით და შეხებით.

ჩვენ, სავსებით წარმოდგენას ვღებთ ჩვენის თვალით, საგნის სურათი ჩვენს გონებაში გადაეცემა და შეხებით უკვე მას საფუძლიანად ვეთვისებთ, ე. ი. საგნის შემეცნება სრულიად ისახება ჩვენს ქკუა-გონებაში.

ყველა იმ საგნებს, რომელიც ბუნებაში გვხდება, მეცნიერები ფიზიკურ (ბუნებრივ) სხეულებს ეძახიან. სხეულები ერთგვარნი არ არიან: ზოგი მაგარია, (ქვა, რკინა, ვერცხლი), ზოგი სითხეა (წყალი, ზეთი, ღვინო) და ზოგიც ჰაერგვარია, ჰაზია (ჰაერი).

ჩვენ რომ ავიღოთ ქვა და შუაზედ გავტეხოთ, შემდეგ ამის ერთი ნაწილი კვლავ შუაზედ გავტეხოთ, ჩვენ თანდათან დავაწვრილებთ მას და შევამჩნევთ, რომ რაც უნდა წვრილად ვაქციოთ ქვა, ყოველი მისი ნაწილი ქვა იქნება; წმინდა ფხვნილად რომ ვაქციოთ, მტვრათ და ამის ერთი პაწაწა ნაწილი ავიღოთ, ჩვენ მისი დაყოფა კვლავ შეგვიძლიან.

არსებობს ერთგვარი მანქანა, რომლის საშუალებით, ერთი მილიმეტრის სიგრძეზედ ორი ათასი ხაზი გაიყვანეს და მაინც კიდევ ხაზსა და ხაზს შუა თავისუფალი ადგილი იყო.

ამხ. წითელ-არმიელო, ეხლა შენ ხომ წარმოდგენილი გაქვს მილიმეტრი და იფიქრე, თუ რა უნდა იყოს მისი მეორიათასე ნაწილი და მათ შორის კიდევ თავისუფალი ადგილი?! მეცნიერმა ჰუკსტენმა მოახერხა ვერცხლის მავთულის ისეთი დაწვრილება, რომ ას ორმოცი ცალი ამგვარი მავთული ერთმანეთს რომ შევუერთოთ, აბრეშუმის ერთი ბეწვის სისქე იქნება.

არსებობს ერთგვარი გამადიდებელი შუშის ხელსაწყობი, რომელსაც მიკროსკოპი ჰქვიან. რომ ავიღოთ ჩვენ სისხლის ერთი პაწია წვეთი და გავშინჯოთ მიკროსკოპით, დავინახავთ რამდენიმე მილიონ გროშებივით დაწყობილ, სისხლის სხეულებს. ერთის სიტყვით, სხეულები ძალიან პაწია ნაწილებისაგან შესდგებიან, რომ მისი წარმოდგენა მხოლოდ გონებაში შეიძლება.

სხეულის ეს წვრილი ნაწილები ერთი ერთმანეთში გადაბმულნი არიან.

მაგარ სხეულში ძალიან მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი, მათი ერთმანეთისაგან დაშორებისათვის საჭიროა რაიმე გარეშე ძალის მოქმედება მაგ. ჩაქუჩის დარტყმა, რომ მაგარი სხეულის ნაწილები ერთმანეთს დაშორდნენ.

ამიტომაც არის, რომ ასე მჭიდროთ შეკავშირებული ნაწილების მქონე სხეული მაგარია და მოყვანილობაცა აქვს, სითხეებიც წვრილი ნაწილაკებისაგან შესდგება, აბა ამხ. წ. არმიელო დაიგუბე პირში წყალი და უცბად გააშხაპუნე, შენ დაინახავ, რომ წყლის წვრილი ნაწილაკები ჰაერში დასცვივდებიან. სითხის წვრილი ნაწილები ერთმანეთთან თუმცა შეკავშირებულნი არიან, მხოლოდ ძალიან ადვილათ ჰშორდებიან. მაგ. ავიღოთ წყალი, იგი ადვილად შეიძლება ერთი დიდი ჭურჭლიდან პატარაში გადაისხას; იმის გარდა, რომ სითხეების პაწაწა ნაწილები ერთმანეთში სუსტად არიან შეკავშირებული, ისინი ერთი ერთმანეთში თავისუფლად დასლიკინებენ; და ეს არის მიზეზი იმისა, რომ სითხეებს თავისი განსაკუთრებული მოყვანილობა არა აქვთ არამედ ღებულობენ იმ ჭურჭლის ფორმის, მოყვანილობას, რომელშიაც ჩაასხავენ რაც შეეხება ჰაზებს, ისინიც წვრილი პაწაწინა ნაწილაკებისაგან შესდგებიან და ერთმანეთში, პირიქით, შეკავშირებული კი არ არიან, არამედ ერთმანეთს გაურბიან.

შემჩნეულია, რომ სითბოსაგან სხეულები ფართოვდებიან და სიცივისაგან იკუმშებიან. რომ ეს ასეა შენ, ყოველ-დღიურ ცხოვრებაში ოწმუნდები ამხ. წითელ არმიელო. როდესაც სოფელში ურმისთვალს მჭედელი რკინის სალტას უკეთებს, იგი ჯერ გაახურებს სალტას ცეცხლზედ, თავისუფლად წამოაცვამს ფერსოებს და შემდეგში ცივ წყალში ჩააგდებს გასაცივებლად, რითაც სალტა მაგრა მოეჭიდება ხოლმე ურმის თვალს. პირველ შემთხვევაში, როცა მჭედელმა გაახურა სალტა, მაშინ სალტა გაფართოვდა, მაშასადამე ის პაწაწა ნაწილები, რომლისაგანაც რკინის სალტა შესდგება ერთი ერთმანეთს დაშორდენ და მეორე შემთხვევაში წყალში გაციებით შეიკუმშა ე. ი. პაწია ნაწილები ერთმანეთს დაუახლოვდენ. როცა აბანოში იბანებ ხოლმე, ხომ ამჩნევ გამოსვლის დროს ბატინკები, როგორ ძნელად იცმევა ხოლმე. რისგან ხდება ეს შენ თითონ მიხვდები ამხ. წითელ არმიელო. ამისთანა მოვლენას ყველგან ვხვდებით. ბუნებაში ამ კანონს ყველა სხეული ემორჩილება გარდა წყლისა, თუჯისა და ბისმუტისა (ლითონია) ამაზე შემდეგ წერილში ვიამბობთ.

გ. ბ—შვილი.

ჭუმბარა

„117 ლირა"

(№ ქარ. ლეგ. მნეს სიმღერა) „წ. არ." № 315

ამბობენ რა უყავიო
117 ლირა;
სადაც მსურდა — გადვუძახე
მღერით, ყირა-ყირა!..

1900 წლიანების
ულუფიდან: ვახ, ვახ!
სიმთვრალეში რევოლვერით
ტრა-ლა-ლა-ლა, ტრახ, ტრახ!..

—

გარწმუნებთ, რომ „პრელესტია"
ოსმალური ლირა;
ბათუმში ბევრჯელ სიამით
იმან ამაყვირა!..

—

აპა რე-რო, რაშო რა რა,
დელია დელია;
თუმცა ეხლა აღარა მაქვს
ეჰ, შემომელია!..

—

ღმერთო ჩემო, „დუშიჩკებში"
რა ამბები მქონდა:
წითელ-არმიელებ თუმც
ბევრჯელ დამიღონდა!..

—

და ეხლა-კი პასუხს მთხოვენ
რა უყავ ლირაო;
„მარმარის" და „პავილიონს"
დავტოვე გირაოდ?!

—

„ძმა—ბიჭებში," ვსვიდებოდი
ისე, ვით რუშბია:
ზღვა დღეებს მიმღეროდა —
ტრა-ლა-ლა, პუმბი.!..

დაშნა.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის № 816 სამწუხაროდ გაიპარა შეცდომა ლექსი „ჩვენ გაზეთს" ხელმოწერილია **„დროიძე-ს"** გვარით. უნდა იყოს **დ. ხიხაძე.**

დაკარგა ანდრო აფაქიძის სახელზე გაცემული შემდეგი მოწმობები: 1) პირადობის მოწმობა გაც. ა.წ. 10 მაისიდან № 115, 2) მოწმობა წყლის და ელექტრონის ა: წ. 7 ივნისიდან № 240, 3) მოწმობა სამოქალაქო გადასახადისა ა.წ. 7 ივნისიდან № 493, პირადობის მოწმობა ა. წ. 7 ივნისიდან № 445.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც.
ტირაჟი 1000.
სამხედრო სტამბა.